განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 23 სექტემბერი, 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11 ნოემბერი, 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფსიქიკური ჯანმრთელობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრი სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0919
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული №293 02.08.2012

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლილი ხეჩუაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით ზურაბაშვილი - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სამაგისტრო პროგრამა „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ თავდაპირველად შემუშავდა 2012 წელს და აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №293 02.08.2012 გადაწყვეტილებით.

პროგრამის მისიაა, აქტიურად იყოს ჩართული ქვეყნის შესაძლებლობების ზრდაზე ორიენტირებულ საქმიანობაში მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების, ფსიქიკური ჯანდაცვის სპეციალისტთა და მკვლევართა ახალი თაობის მომზადების მიმართულებით. ის მიზნად ისახავს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც შეუძლიათ კვლევაზე დაფუძნებული პროგრამებისა და სერვისების შემუშავება/განხორციელება ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და სტრატეგიის გათვალისწინებით, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს, მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ეფექტური ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებას.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა რეაკრედიტაციის მიზნით, განახლდა 2018 წლის ბოლოსა და 2019 წლის დასაწყისში. პროგრამაში შეტანილ ცვლილებებს საფუძვლად დაედო ის გამოცდილება და ინფორმაცია, რომელიც პროგრამის განხორციელების რვაწლიანი გამოცდილების ანალიზით, კურსდამთავრებულთა მიღწევებისა და საჭიროებების კვლევის, და ასევე, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მხრიდან მოწოდებული უკუკავშირის მეშვეობით იქნა მოპოვებული. განახლებული პროგრამა დამტკიცდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოზე (ოქმი N1, 22/01/2020).

პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში აქტიურად იყვნენ და არიან ჩართულნი ფსიქიკური ჯანმრთელობის (როგორც ფსიქოტრავმატოლოგიის, ისე სოციალური ფსიქიატრიის) მიმართულებით მომუშავე სპეციალისტები, პროფილური ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული პირები.

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრის მხარდაჭერით, რომელიც სტუდენტებს მიმდინარე კვლევებში ჩართვისა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობებს უქმნის.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამას აძლიერებს ფსიქიკური ჯანმრთელობის (როგორც სოციალური ფსიქიატრიის, ისე ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულებით) წამყვან ორგანიზაციებთან, მათ შორის, პროფესიულ საზოგადოებებთან პარტნიორობა, რაც სტუდენტებს მრავალფეროვან გარემოს სთავაზობს პრაქტიკის გავლისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების ათვისებისთვის. ზოგიერთი ასეთი ორგანიზაციაა ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში -თბილისი“ - გიფ-თბილისი (ილიას უნივერსიტეტთან ერთად ფჯ რესურს ცენტრის თანადამფუძნებელი ორგანიზაცია, რომელიც საერთაშორისო გიფ ფედერაციის წევრია), საქართველოს ფსიქოტრავმატოლოგიის საზოგადოება და საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება.

წარმოდგენილი პროგრამა მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი თავდაპირველი ვერსიისგან, რაც სრულიად ლოგიკურია რვაწლიანი სამუშაო გამოცდილების გათვალისწინების პირობებში, კერძოდ, მთლიანად შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების გადანაწილება; პროგრამას დაემატა

სავალდებულო-არჩევითი კურსების, 18 კრედიტიანი, ნაწილი. გარდა ამისა, კურსის სილაბუსების განახლების გარდა, პროგრამას სფეროს საჭიროებებიდან და სტუდენტთა და დამსაქმებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, დაემატა ისეთი ახალი სასწავლო კურსები, როგორიცაა (სოციალური ფსიქიატრიის მიმართულებით) ექვს კრდიტიანი სავალდებულო-არჩევითი კურსი ,,პენიტენციური სისტემის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა: პატიმართა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაციისაკენ მიმართული მოდელები“, ორივე მიმართულებისთვის კი – კიდევ ორი 6-6 კრედიტიანი კურსი „დელინქვენტობის პრევენცია მოზარდებში“ და „მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანდაცვა: კვლევები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში“. ასევე, ორივე მიმართულებისთვის. მოდიფიცირდა ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულებისთვის სავალდებულო, 6 კრედიტიანი კურსი „ფსიქოლოგიური ტრავმის ნეირონული საფუძლები“. ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულება შეივსო, ასევე, „მოტივაციური ინტერვიურების“ სავალდებულო-არჩევითი 6-კრედიტიანი კურსით.

წარმოდგენილ პროგრამაზე გაძლიერდა და დაიხვეწა პრაქტიკის კომპონენტი როგორც კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის, ისე დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსის სახით. პრაქტიკასთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ პროგრამამ გაამრავალფეროვნა პრაქტიკის ობიექტები და დახვეწა პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები მათთვის ანაზღაურებასაც ითვალისწინებს პრაქტიკაზე სტუდენტების მიღებისა და სუპერვიზირების სანაცვლოდ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ქვეყანაში კორონავირუსის გამო გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო პროგრამის „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ შეფასება 2020 წლის 23 სექტემბერს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების, კერძოდ, Zoom-ის პროგრამის გამოყენებით განხორციელდა.

ვიზიტის განმავლობაში ექსპერტები, წინასწარ შემუშავებული და დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესატყვისად, გაესაუბრნენ უნივერსიტეტის პერსონალს: უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალსა და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ბიბლიოთეკარსა და პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა, ბიბლიოთეკარის დახმარებით, ნახა, როგორ მუშაობს უსდ-ის ელექტრონული ბიბლიოთეკა.

აკრედიტაციის პროცესი მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. დღის წესრიგით გათვალისწინებული შეხვედრები დროულად, შეფერხებების გარეშე გაიმართა. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა საგანმანათლებლო პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სამაგისტრო პროგრამა „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ სრულად ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით ჩამოთვლილ მოთხოვნებს და სრულ შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან:

რეკომენდაციები

--

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

--

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - სამაგისტრო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და ცვლილებების შეტანის პროცესში ჩართულია აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. პროგრამის ხელმძღვანელობა და ადმინისტრაცია ღიაა უკუკავშირის მიმართ, რაც განაპირობებს დაინტერესებული მხარეების მაღალი ხარისხით თანამშრომლობას, რასაც თან სდევს პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენტურობის გაუმჯობესება და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  - შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების განაწილების პრინციპი;
  - განახლდა პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები დარგში რვა წლის მანძილზე დაგროვებული ახალი სამეცნიერო მტკიცებულებებისა და ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე.
  - სტუდენტთა და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერესების შესაბამისად, პროგრამას დაემატა სავალდებულო არჩევითი კურსების 18 კრედიტიანი ნაწილი;
  - პროგრამას დაემატა ახალი, ექვს კრედიტიანი კურსები (ერთ, მეორე ან ორივე მიმართულებისთვის): (ა) პენიტენციალური სისტემის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა: პატიმართა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაციისკენ მიმართული მოდელები“, „დელიქვენტობის პრევენცია მოზარდებში“, „მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანდაცვა: კვლევები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში“, „მოტივაციური ინტერვიუ“;
  - მოდიფიცირდა ექვს კრედიტიანი სავალდებულო კურსი „ფსიქოლოგიური ტრავმის ნეირონული საფუძვლები“;
  - დაიხვეწა და გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პროცედურები და პროფესიული პრაქტიკა პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის, ისე პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის სახით.
  - დაიხვეწა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია და შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა მხრიდან შუალედურ ანგარიშგებას და მისი კვლევის პროგრესის შესახებ უკუკავშირის მიღებას ხელმძღვანელის მხრიდან. ამასთან დაიხვეწა ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ისე, რომ შესაძლებელი გახდა სტუდენტებისთვის უფრო მკაფიო მოთხოვნების წაყენება სამაგისტრო ნაშრომის სიღრმისა და სირთულის თვალსაზრისით.
  - პროგრამაზე მუშაობისას დაიხვეწა პროგრამის შედეგები და ჩამოყალიბდა ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.
  - პროგრამის შედეგების მიხედვით მოდიფიცირდა კურსების სილაბუსები.

სარჩევი

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... 7

1.1 პროგრამის მიზნები 7

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 10

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 11

2.3. სასწავლო კურსი 14

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 16

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები 18

2.6. სტუდენტების შეფასება 20

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 22

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება 23

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა 24

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

4.1 ადამიანური რესურსი 26

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება 28

4.3 მატერიალური რესურსი 29

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა 32

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 33

5.1. შიდა ხარისხის შეფასება 33

5.2. გარე ხარისხის შეფასება 35

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 36

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა 37

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამის „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ მიზნები (მოამზადოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში (სოციალური ფსიქიატრიისა და ფსიქოტრვმატოლოგიის მიმართულებით) კომპლექსური ფაქტორები განპირობებული ქცევის აღწერას, ანალიზსა და ინტერპრეტაციას, დარგში არსებული თანამედროვე ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების აღნიშნული მიმართულებებით არსებული პრობლემების განსაზღვრისა და ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად გამოყენებას, სისტემურ ცოდნასა და ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით რელევანტური ინტერვენციების შესახებ რეკომენდაციების გაცემა და პროფესიულ გუნდში ეფექტურად მუშაობა, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის წარმართვა და ადვოკატირება) სრულად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის ის მიმართული. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის (სოციალური ფსიქიატრიის და ფსიქოტრავმატოლოგიის) სფეროში შეძენილი ცოდნა შესაბამის პროფესიულ კონტექსტში გამოიყენონ უშუალოდ პრაქტიკის გავლის პროცესში. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების ინტეგრირებას პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის. პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებში მაგისტრანტს ექნება შესაძლებლობა, სიღრმისეულად გაიაზროს თანამედროვე კონცეფციები ფსიქიკური ჯანმრთელობის (სოციალური ფსიქიატრიის და ფსიქოტრავმატოლოგიის) დარგში. შეისწავლოს და გააცნობიეროს მათი მიმართულებები პრაქტიკასთან. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყანაში ფსიქიკური ჯანმრთელობასთან (სოციალური ფსიქიატრია და ფსიქოტრავმატოლოგია) დაკავშირებული პრობლემების მართვისა და შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების თვალსაზრისით. კურსდამთავრებულებს პრაქტიკული საქმიანობის ფართო არჩევანი აქვთ, კერძოდ მათი სამუშაო ადგილი შეიძლება იყოს: სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი სტრატეგიის და კოორდინაციის მიმართულებით, ფსიქიკური ჯანმრთელობის მონიტორინგისა და კვლევითი ორგანიზაციები, სარეაბილიტაციო დაწესებულებები, სათემო ფსიქიატრიული სერვისები, ეთნოკონფლიქტების ზონაში მოქმედი ორგანიზაციები, ომისა და ბუნებრივი კატაკლიზმების შემდგომი და ძალადობის, მწვავე კრიზისის, მძიმე დანაკარგის სარეაბილიტაციო ცენტრები, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრევენციის ღონისძიებების დამგეგმავი ცენტრები და

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ეფუძნება ერთიანობის სამ პრინციპს: კვლევისა და სწავლების ერთიანობა; ზოგადი განათლებისა და სპეციალიზაციის ერთიანობა; უნივერსალურისა და ლოკალურის ერთიანობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრის წლიური ანგარიში (2019); • სამაგისტრო პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული კვლევა; • დადებული მემორანდუმები; • სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები: DARE_ABC, ERASMUS +(KA2), TSDC (2019-2021); • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/misia-2; • მეცნიერებატა და ხელოვნების ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა; • უნივერსიტეტის ვებგვერდი https://iliauni.edu.ge/ge/; • უსდ-ის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ (სოციალური ფსიქიატრია და ფსიქოტრავმატოლოგია) სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, კერძოდ:

კურსდამთავრებულს შეუძლია (ა) გამოავლინოს სისტემური ცოდნა ფსიქიკური ჯანმრთელობის ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომების თეორიული პრინციპების, კონცეფციებისა და სოციალურ ფსიქიატრიაში ან ფსიქოტრავმატოლოგიაში მათი პრაქტიკასთან მიმართების

შესახებ; (ბ) ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების და აშლილობების ან სხვადასხვა ფსიქოტრავმული მოვლენით გამოწვეული მდგომარეობების იდენტიფიკაცია (შეფასება და დიაგნოსტირება) და მათი მართვა (პრევენცია ან/და მკურნალობა) თანამედროვე მულტიდისციპლინური მეთოდების გამოყენებით; (გ) თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის საფუძველზე ფსიქიკური ჯანმრთელობის (სოციალური ფსიქიატრიის და ფსიქოტრავმატოლოგიის) საკითხების საჭიროებების იდენტიფიცირება, სერვისების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება; (დ) ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში (სოციალური ფსიქიატრიის და ფსიქოტრავმატოლოგიის) სფეროში პოლიტიკის, სტრატეგიის და /ან პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებისთვის; (ე) კლიენტთან და მოსარგებლეთა ჯგუფთან კომუნიკაცია და თერაპიული რაპორტის დამყარება; (ვ) ფსიქიკური ჯანმრთელობის (სოციალური ფსიქიატრიის და ფსიქოტრავმატოლოგიის) სფეროში აკადემიური თუ პრაქტიკული საქმიანობისას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის, მათ შორის კვლევის ბიოეთიკის დაცვა, პაციენტთა უფლებების გათვალისწინება; (ზ) ეფექტური მოქმედება როგორც ავტონომიურად, ასევე მულტიდისციპლინურ ჯგუფში; პროფესიული განვითარების მიზნით, საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება, სწავლის საჭიროებების განსაზღვრა, და შესაბამისად, სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვა და ამ გეგმის განხორციელება; პროგრამის სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი არის მუდმივი პროცესი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. სამაგისტრო პროგრამა „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ (სოციალური ფსიქიატრია და ფსიქოტრავმატოლოგია) კურსდამთავრებულს საჭირო კომპეტენციებს უვითარებს კომპლექსურად: პრაქტიკულ, კვლევით უნარებს სტუდენტი ეუფლება ინტენსიურად მიღებული ცოდნის ადეკვატურად. პროგრამის სწავლის შედეგებს ავითარებს არა კონკრეტული სასწავლო კურსი ცალკეულად, არამედ ყოველი მათგანი კუმულაციურად. პროგრამაში ცვლილებები ხორციელდება დაგეგმილად, სისტემურად. ამ პროცესებს არ აქვს სპონტანური ხასიათი, რასაც ადასტურებს როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ცვლილებები ხდება მიმდინარე პროცესებზე დაკვირვებით და ისინი ეხება როგორც ცალკეული კურსების, ისე მთლიანად პროგრამის განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • სწავლის შედეგის რუკა; • ანგარიში პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; • პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული კვლევა; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესი; • ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან, თვითშეაფასების ჯგუფთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღება საერთო სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების მიხედვით ხდება. ამასთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ოთხ კომპონენტს მოიცავს: (1) შესაბამისი პროფესიული განათლება (როგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც აქვს ფსიქიატრის სპეციალობა ან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მედიცინის, ფსიქოლოგიის, საექთნო ან სოციალური სამუშაოს დისციპლინებში და მომიჯნავე სფეროში), (2) შესაბამისი გამოცდილება (მინიმუმ ორწლიანი სამუშაო პრაქტიკული გამოცდილება ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში), (3) ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების ცოდნა (ფასდება შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ფსიქიკური ჯანმრთელობის საკთხების

საფუძვლების, თეორიებისა და პრინციპების ცოდნა) და (4)ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამას ძალზეც მკაცრი და მაღალი სტანდარტის შესაბამისი დაშვების წინაპირობები აქვს, რაც რეალურად მოტივირებული და შესაბამისი გამოცდილებისა და კომპეტენციის სტუდენტების მოზიდვას უზრუნველყოფს. ვიზიტის მსვლელობისას პროგრამის ხელძღვანელმაც აღნიშნა, რომ ასეთი ფილტრი ზღუდავს პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობას, თუმცა ეს აუცილებელი ბარიერია, რათა პროგრამამ შეძლოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. პროგრამაზე მიღების პირობები და სხვა თანმდევი საჭირო ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება და ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდებზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამაზე მიღების პირობები სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით ყველა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამისთვის, მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამისთვის, შექმნილია საინფორმაციო ბუკლეტები მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი, უნივერსიტეტის PR-ის სამსახურის მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევს ღია კარის დღეებს დაინტერესებული პირებისათვის. პროგრამის წინაპირობის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა; • პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდი; • საინფორმაციო ბუკლეტები; • პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესისა და პროცედურების დაცვით და შესაბამისობაშია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმებთან. პროგრამა მიმართულია როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის (როგორც ფსიქოტრავმატოლოგიის, ისე სოციალური ფსიქიატრიის მიმართულებით) აუცილებელი ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნისა და უნარების, ისე — ემპირიული ცოდნის მიღებასა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, კვლევის შედეგად მიღებული ემპირიული მონაცემების ანალიზსა და მათზე დაყრდნობით პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტის ფარგლებში (4 სემესტრი) სოციალური ფსიქიატრის/ფსიქოტრავმატოლოგის მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადების შესაძლებლობას იძლევა, რომელიც ფლობს თანამედროვე ცოდნას და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამის პრაქტიკულ უნარებს აღნიშნული მახასიათებლით პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოდის უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ამრიგად, პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის (ა) სავალდებულო კურსების ბლოკი ფსიქიკურ ჯანმრთელობაში შეადგენს 30 კრედიტს (მათ შორის, კლინიკური შემთხვევების მართვის პრაქტიკის 6 კრედიტიანი კურსი), (ბ) თავისუფალი არჩევითი კურსების ბლოკი -- 12 კრედიტს, (გ) სამაგისტრო ნაშრომი -- 24 კრედიტს და (დ) სოციალური ფსიქიატრიის და ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულება 54-54 კრედიტს (სტუდენტი ირჩევს ერთ-ერთს ამ ორიდან). სასწავლო, პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა ითვალისწინებს პროგრამის განხორციელების რვაწლიან გამოცდილებას, რაც არაერთხელ აღინიშნა ვიზიტის მსვლელობისას როგორც პროგრამის განმახორციელებლების, ისე — სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან. კერძოდ, წარმოდგენილ ვერსიაში გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი: შეიქმნა პრაქტიკის დამოუკიდებული კურსი და გაძლიერდა კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა. პროგრამაში შემავალ ზოგიერთ კურსზე არსებობს დაშვების წინაპირობები, რაც ითვალისწინებს პროგრამაში შემავალი სხვა კურსის/კურსების გავლას. მსგავსი წინაპირობების არსებობა უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ აკუმულირებას და მის გრადაციას ზოგადიდან კონკრეტულამდე/ მარტივიდან რთულამდე/ საბაზოდან ფართომდე. პროგრამის ფარგლებში, სავალდებულო კურსებთან ერთად, შეთავაზებულია არჩევითი კურსები, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად გაიღრმაოს პროგრამის სწავლის შედეგებით განსაზღვრული კომპეტენციები. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პროგრამაში წარმოდგენილი მოდელი — კურსის შინაარსთან მიბმული პრაქტიკული აქტივობები -- პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი — ეყრდნობა ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების (კარდიფის უნივერსიტეტის, ბრიტანეთის სამეფო

კოლეჯის) გამოცდილებას. რაც შეეხება კვლევით კომპონენტს, პროგრამის IV სემესტრში სტუდენტები პროფესიულ პრაქტიკას ეუფლებიან და კვლევით პროექტზე მუშაობენ და პროგრამის დასრულებამდე წარმოადგენენ სამაგისტრო/კვლევით ნაშრომს. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. კერძოდ, თითოეული კურსის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა (მაგალითად, ლექტორების მიერ შექმნილი „ჰენდაუთები“) დარგში არსებულ უახლეს კვლევებსა და წყაროებს ეყრდნობა. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის პროგრამის აღწერიდან, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. თითოეული კურსისთვის მოთხოვნილი წინაპირობები მითითებულია შესაბამისი კურსის სილაბუსში, რომელიც განთავსებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსში“. სისტემავე უზრუნველყოფს კურსების არჩევითობის შეზღუდვას წინაპირობების გათვალისწინებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კრიტერიუმები; • პროგრამა, პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და სემესტრული გეგმა; • პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები; • პრაქტიკის დოკუმენტი; • სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სწავლით კმაყოფილების კვლევის შედეგები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა დასაქმების კვლევის შედეგები; • პროგრამის გარე შეფასების შედეგები; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი”; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი; • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი; • პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები; • შეხვედრების ოქმები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) აკრედიტაციისათვის წარმოდგენილ განახლებულ პროგრამაში განხორციელებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მიღებულ გამოცდილებას, განმახორციელებელი

პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლებისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების უკუკავშირიდან მიღებულ მონაცემებსა და რეკომენდაციებს ეფუძნება. კერძოდ: ○ შეიცვალა პროგრამის სტრუქტურა და კრედიტების განაწილების პრინციპი; ○ სტუდენტთა და პოტენციურ დამსაქმებლებთან ინტერესების შესაბამისად, პროგრამას დაემატა სავალდებულო არჩევითი კურსების 18 კრედიტიანი ნაწილი; ○ პროგრამას დაემატა ახალი, ექვს კრედიტიანი კურსები (ერთ, მეორე ან ორივე მიმართულებისთვის): (ა) პენიტენციალური სისტემის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა: პატიმართა რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაციისკენ მიმართული მოდელები“, „დელიქვენტობის პრევენცია მოზარდებში“, „მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანდაცვა: კვლევები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში“, „მოტივაციური ინტერვიუ“; ○ მოდიფიცირდა ექვს კრედიტიანი სავალდებულო კურსი „ფსიქოლოგიური ტრავმის ნეირონული საფუძვლები“; ○ დაიხვეწა და გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების პროცედურები და პროფესიული პრაქტიკა პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის, ისე პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსის სახით. ○ დაიხვეწა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია და შეფასების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა მხრიდან შუალედურ ანგარიშგებას და მისი კვლევის პროგრესის შესახებ უკუკავშირის მიღებას ხელმძღვანელის მხრიდან. ამასთან დაიხვეწა ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ისე, რომ შესაძლებელი გახდა სტუდენტებისთვის უფრო მკაფიო მოთხოვნების წაყენება სამაგისტრო ნაშრომის სიღრმისა და სირთულის თვალსაზრისით. ○ პროგრამაზე მუშაობისას დაიხვეწა პროგრამის შედეგები და ჩამოყალიბდა ახალი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებსა და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. კურსის სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან და შესაბამის საფეხურთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არსებობს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც დეტალურად

აღწერს, პროგრამის რომელ სწავლის შედეგ(ებ)ზე გადის ესა თუ ის ბლოკი და თითოეულ ბლოკში შემავალი ცალკეული კურსი.

თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით და 6 კრედიტს შეადგენს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. საათების განაწილების ეფექტურობის შესაფასებლად ყოველი კურსის დასრულების შემდეგ ხორციელდება სტუდენტთა ყოველსემესტრული გამოკითხვა, რომელშიც მოცემულია კითხვები დატვირთვის ადეკვატურობის შესახებ. სასწავლო კურსების შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე, კურსებში განსაზღვრულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები და რუბრიკები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებით განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს.

გარდა ამისა, კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები და ლიტერატურა. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. რიდერები, რომელიც ეფუძნება ფსიქიკური ჯანმრთელობის (როგორც სოციალური ფსიქიატრიის, ისე ფსიქოტრავმატოლოგიის) სფეროში არსებულ უახლეს მიღწევებსა და კვლევებს.

კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე და გაზიარებულია არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსის“ საშუალებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სამეცნიერო ელექტრონული ბაზებზე (ScienceDirect, Scopus, PsycInfo, Heinonline, Clarivate Anallytics, ProQuest, EBSCO, Jstor, Project Muse, Cambridge Journals, DOAJ, ebrary, Oxford Journals და სხვა) ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა და თანდართული სწავლის შედეგების რუკა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- ბიბლიოთეკის დათვალიერება ონლაინ და ბიბლიოთეკარებთან ინტერვიუ;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- კურსების შეფასების კითხვარი;
- პროგრამის განმახორციელებლ პერსონალთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ორივე მიმართულება უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

პრაქტიკის კომპონენტი გათვალისწინებულია პროგრამაში წარმოდგენილ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკისა და დამოუკიდებელი 6 კრედიტიანი კურსის სახით, რომელიც ხორციელდება მეოთხე (დამამთავრებელ) სემესტრში, სამაგისტრო კვლევის განხორციელების პარალელურად. სტუდენტები თავად ირჩევენ, პარტნიორი ორგანიზაციების სიიდან, იმ ორგანიზაციებს, სადაც მათ სურთ გაიარონ პრაქტიკა. პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსი ამთლიანებს ცალკეული თეორიული კურსების ფარგლებში ათვისებულ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას. კურსში გამოიყენება ჩართული დაკვირვებისა და სუპერვიზიის/ინტერვიზიის თანხლებით პრაქტიკული დავალებების განხორციელების მეთოდი.

პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტები ფასდებიან შუალედური და საბოლოო შეფასებით, რაც გულისხმობს პრეზენტაციისა და ანგარიშების წარმოდგენას.

სტუდენტები ხვდებიან პრაქტიკის ხელმძღვანელს (თითოეული შეხვედრა ორ საათს გრძელდება), პრაქტიკის განვლილ მოდულში მიღებული გამოცდილების შესაჯამებლად და შემდგომი მოდულისთვის მოსამზადებლად. მიღებული გამოცდილების შეჯამებას/მასზე რეფლექსიას სტუდენტები წარმოადგენენ პრეზენტაციების სახით, რის საფუძველზეც პრაქტიკის ხელმძღვანელი აკეთებს შუალედურ შეფასებას, ხოლო პრაქტიკის განმახორციელებლ ორგანიზაციას ეგზავნება უკუკავშირი, რომლის საფუძველზეც ის აუმჯობესებს სტუდენტების პრაქტიკის შესაძლებლობებს სტუდენტთა მომავალი ნაკადისთვის.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურის უფროსთან საუბრისას აღინიშნა, პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ანაზღაურება პრაქტიკის ხელმძღვანელებისათვის, რაც სიახლეს წარმოადგენს და არ არსებობდა პროგრამის თავდაპირველ ვერსიაში.

პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის **კვლევითი უნარების** განვითარებას. კონკრეტული კვლევის ფარგლებში თითოეულ სტუდენტს უწევს შესაბამისი კვლევის დაგეგმვა, მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და ინტერპრეტაცია და კვლევითი ანგარიშის დაწერა. გარდა ამისა, სამაგისტრო სწავლების პირველივე სემესტრიდან უკლებლივ ყველა სტუდენტი გადის სავალდებულო კურსს „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“, ხოლო სამაგისტრო სწავლების მეოთხე სემესტრში სტუდენტები მუშაობენ სამაგისტრო კვლევაზე. ყველა ამ კვლევით კომპონენტში სტუდენტებს სუპერვიზიას/ხელმძღვანელობას უწევენ ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც პროგრამაში და თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრული წესით აფასებენ სტუდენტების კვლევითი საქმიანობას.

სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი საკუთარი ინტერესებისა და პროგრამის პედაგოგების

მიერ შეთავაზებული ქვეყნისთვის აქტუალური საკვლევი თემების შეჯერების საფუძველზე ირჩევს. ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს) სტუდენტი პედაგოგის საქმიანობის სფეროს საკუთარ კვლევის ინტერესთან შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების მიხედვით ირჩევს. თითოეული სტუდენტი თავის ხელმძღვანელს (თანახელმძღვანელს), სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში, ხვდება ყოველკვირეულად, რათა სტუდენტს ჰქონდეს კვლევის დინამიკაზე ანგარიშგების შესაძლებლობა, ხოლო პედაგოგს -- სათანადო კონსულტირების საშუალება. სამაგისტრო კვლევების განხორციელებას მეთოდოლოგიურად ხელს უწყობს ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრი, რომელიც მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს. სტუდენტების ნაწილი ჩართულია ცენტრის ფარგლებში მიმდინარე პროექტებში. აღსანიშნავია, რომ სამაგიტრო ნაშრომების თემატიკა მრავალფეროვანია და შეესაბამება წარმოდგენილი პროგრამის შინაარსსა და მიზნებს, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი: მართალია, ნაშრომები ფორმალურად აკმაყოფილებენ ემპირიული კვლევის შემცველი შრომის კრიტერიუმებს, მათი შინაარსისა და სტრუქტურის შესწავლა აჩვენებს, რომ ნებისმიერი მათგანის ძირითად ნაწილს თეორიული/ლიტერატურის მიმოხილვა წარმოადგენს, კვლევის აღწერას, შედეგებსა და მათ ინტერპრეტაციას კი (ერთობლივად) მხოლოდ რამდენიმე გვერდი თუ ეთმობა. სტუდენტების ნაწილმა პროგრამაზე სწავლის პროცესში დააარსა არასამთავრობო არამომგებიანი ორგანიზაციები, როგორიცაა „ახალგაზრდები ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის“ და „ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრთა კლუბი“. ეს ორგანიზაციები საკმაოდ წარმატებულად მუშაობენ სფეროს განვითარებაზე ორიენტირებულ სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებზე. სტუდენტებს პროექტების დაგეგმვისას კონსულტაციას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი უწევს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები; • პრაქტიკის დოკუმენტი; • სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; • პრაქტიკის ორგანიზაციებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა სწავლით კმაყოფილების კვლევის შედეგები; • სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები; • პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის სამსახურის უფროსთან ინტერვიუები; • სამაგისტრო ნაშრომების გაცნობა; • სტუდენტების და კურსდამთავრებულების ფოკუს ჯგუფების ანგარიშები; • დამსაქმებლების ფოკუს-ჯგუფის ანგარიში; • მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული „ადიქციის კვლევების პროგრამის შეფასება სტუდენტთა მიერ (2018)“.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: • სასურველია, სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობისას მეტი ყურადღება დაეთმოს მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების უფრო მეტად სიღრმისეულ ანალიზსა და ინტერპრეტაციას, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს როგორც ცალკეული სამაგისტრო

ნაშრომის, ისე მთლიანად პროგრამის ფარგლებში წარმოებული კვლევების ხარისხსა და პრაქტიკულ სარგებლიანობას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში სწავლება ხორციელდება ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მუშაობის ფორმატში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ავსებს ერთმანეთს და სტუდენტი/ლექტორი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევამდე მიჰყავს, კერძოდ, პროგრამაში შემავალ კურსებში გამოყენებულია სწავლების ინტერაქტიული მეთოდები, როგორებიცაა პრაქტიკასა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ლექცია, სემინარი, დისკუსია და დებატები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები, შემთხვევის ანალიზი, პრეზენტაცია, კოგნიტური დიაგრამებით სწავლება, უკუკავშირის მეთოდები, პრაქტიკული მუშაობა, პრაქტიკაზე დაკვირვება; ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები და სხვ. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში შემავალი კურსები ორიენტირებულია პრაქტიკულ გამოცდილებასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლის მიდგომებზე, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობასა და შესრულებულ აქტივობებზე რეფლექსიაზე. პროგრამაში შემავალი კურსები გამოირჩევა ინტერაქტიულობით, რასაც სტუდენტები ერთხმად დადებითად აფასებენ. პრაქტიკის განმავლობაში სუპერვიზია/ინტერვიზია, რაც თვითრეფლექსიის, რთული შემთხვევის ეფექტური მართვის, გუნდში და ინდივიდუალური მუშაობის უნარებს აუმჯობესებს და ზრუნვის ხარისხის ზრდისა და პროფესიული გადაწვის პრევენციის გარანტიას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სტუდენტები, ერთის მხრივ, უშუალოდ არიან კლინიკური გარემოში და, მეორე მხრივ, კურსის წარმართვის ფორმა მაქსიმალურად ,,იცავს“ მათ შესაძლო „მეორადი ტრავმატიზაციისგან“. სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, ასევე, საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში დანერგილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პრაქტიკა. ასეთი სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებას და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და

პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება ინიშნებოდეს წინასწარ, საოფისე საათების ფარგლებში, ან სტუდენტის ინდივიდუალური მოთხოვნის საფუძველზე "არგუსის" ან კორპორატიული მეილის საშუალებით. სტუდენტებს აგრეთვე აქვთ შესაძლებლობა, ონლაინ რეჟიმში დარეგისტრირდნენ აკადემიური წერის ცენტრის ტუტორთან ინდივიდუალურ შეხვედრაზე და ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში მიიღონ კონსულტაცია მათთვის საჭირო კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებთ, ან მიიღონ უკუკავშირი წერით ნაშრომთან დაკავშირებით. ამგვარი ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების ეფექტურობის შეფასება გათვალისწინებულია როგორც უნივერსიტეტში სტუდენტთა სერვისების შეფასების ფარგლებში, აგრეთვე თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ერთვება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი -- „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა". ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაშიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაში შემავალი კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის კონცეფცია;
- სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტუდენტების სერვისების შეფასების კვლევის ანგარიში და სასწავლო კურსების შეფასების მექანიზმი;
- აკადემიური წერის ცენტრის დებულება და ვებგვერდი http://writingcentre.iliauni.edu.ge/;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუები.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრამა (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასება მრავალ კომპონენტიანია და თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას უზრუნველყოფს, რაც კონკრეტული, გაზომვადი რუბრიკების გამოყენებით მიიღწევა. შეფასება ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა, ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა; ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.

თითოეული სასწავლო კურსი მინიმუმ სამი კომპონენტით ფასდება და თითოეულისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დასკვნით გამოცდისათვის არ აღმატება განსაზღვრული ქულების 60%-ს). ესენია შუალედური შეფასებები და ერთი დასკვნითი შეფასება. შუალედური შეფასება სტუდენტის ცოდნის შეფასებაა სემესტრის სალექციო-სასემინარო მეცადინეობისთვის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს სტუდენტის შეფასებას სემესტრის ბოლოს, საგამოცდო პერიოდის განმავლობაში. დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია.

სილაბუსების შეფასების ნაწილში განსაზღვრულია ის ძირითადი შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება პროგრამის კომპონენტის/კურსის ფარგლებში. სწავლის შედეგების გასაზომად ცალკეული კურსის ფარგლებში შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით განსაზღვრული სწავლის მიღწევების შეფასებას როგორც პროგრამის თითოეული კურსის, ასევე თითოეული კომპონენტის (სპეციალობის, პრაქტიკისა და კვლევის კომპონენტების) ფარგლებში.

კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსის" საშუალებით. სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების სისტემის გაცნობას ლექტორი დამატებით ახორციელებს პირველივე ლექციაზე (და ასევე, აღწერილია სილაბუსებში).

უნივერსიტეტში მოქმედებს შეფასების თანასწორი და სამართლიანი სისტემა და შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელიც აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში, საპრეტენზიო განაცხადით მიმართოს ფაკულტეტს/სკოლას საპრეტენზიო კომისიის შექმნის და შესაბამისი პროცედურების ინიცირების მიზნით.

სასწავლო კურსების სისტემური შეფასების ფარგლებში გათვალისწინებულია სტუდენტთა მხრიდან უკუკავშირის მიღება კურსით განსაზღვრული შეფასების სისტემის ეფექტიანობის შესახებ. გამოკითხვა აჩვენებს, რამდენად ინფორმირებული იყო წინასწარ სტუდენტი შეფასების სისტემის შესახებ, რამდენად ობიექტური იყო შეფასება, დროულად იტვირთებოდა თუ არა შეფასების შედეგები სისტემა "არგუსში", იღებდა თუ არა ლექტორისგან უკუკავშირს ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და სხვა. გამოკითხვის შედეგები ხელმისაწვდომია როგორც ლექტორთათვის, აგრეთვე ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციისთვის და გამოიყენება კურსის შეფასების სისტემის ცვლილებისთვის მისი გაუმჯობესების მიზნით.

სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი წარმოადგენს პროგრამის დასასრულს, ყველა სავალდებულო კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ. ნაშრომი დასაცავად, საჭიროების მიხედვით, სტუდენტმა უნდა მოიპოვოს ნებართვა სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ,,ფსიქიკური ჯანმრთელობის“ და ,,ადიქციის კვლევების“ სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში სტუდენტების კვლევითი პროექტების ეთიკურობის დამდგენი კომისიისგან თანხმობა. ამის გარდა, მნიშვნელოვანია, სამაგისტრო ნაშრომი არ შეიცავდეს პლაგიატს და აკმაყოფილებდეს კრიტერიუმებს, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შუალედური შეფასების ფორმაში.

სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სანდოობა უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების მონაწილეობით. კერძოდ, სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების პროცესში მონაწილეობს კურსის ხელმძღვანელი, პრაქტიკის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცესში ჩართულია ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი, ნაშრომის დაცვის კომისია.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებისთვის თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების მეთოდების გამოყენებაც დამკვიდრებული პრაქტიკაა, კერძოდ სტუდენტთა ან სტუდენტთა ჯგუფების ურთიერთშეფასება, პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლისა და სტუდენტების ურთიერთშეფასება, რეფლექსია შესრულებული დავალების შესახებ. შეფასების აღნიშნული მეთოდები უზრუნველყოფენ სტუდენტთა ინფორმირებას მათ მიერ შესრულებული დავალების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ და მიმართულია სტუდენტის სწავლის შედეგების გაუმჯობესებისკენ.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს სათანადო ცოდნას შეფასების თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, სასწავლო კურსების შედგენის, მათი განახლების და გაუმჯობესების პროცესში პროგრამაში ჩართული პერსონალი იღებს კონსულტაციებსა და მხარდაჭერას კურიკულუმის ექსპერტებისა და ფაკულტეტის/სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის უფროსისგან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის შეფასების მექანიზმებისა და მიდგომების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალისთვის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების კუთხით უნარ-ჩვევების განმავითარებელი მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ტრენინგ-მოდულები შემუშავებულია საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნული თანამშრომლობა გათვალისწინებულია Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/Ex-Tempus) 2017 წლის საგრანტო კონკურსის 3 პროექტის ფარგლებში (INTEGRITY, PRINTeL, ASSET).

სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასება უნივერსიტეტში და, შესაბამისად, წარმოდგენილ პროგრამაზე, რეგულირდება უწყვეტი შეფასების შიდა მექანიზმებით. სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვება (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, კუსრდამთავრებულთა დასაქმებისა და მათი პროგრამიდან განთესვის მაჩვენებლები), ანალიზი ყოველწლიურად განხორციელდება უნივერსიტეტში, რაც მიზნად ისახავს პროგრამის გასაუმჯობესებლად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა “არგუსი” უზრუნველყოფს თითოეული კურსის ფარგლებში სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზს ავტომატურ რეჟიმში. შედეგები ხელმისაწვდომია ლექტორისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის დოკუმენტი;

• სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის დოკუმენტი; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; • ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესი; • სტუდენტთა გამოკითხვის ინსტრუმენტები და შედეგები; • პროგრამის ხელძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, თვითშეფასების ჯგუფთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტი პროფილის განსაზღვრისას, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად შესაბამის ინფორმაციას, კონსულტაციას იღებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა „არგუსისგან", რომელიც საკმაოდ მოქნილია როგორც სტუდენტებისთვის, ისე აკადემიური პერსონალისათვის. ამ პროგრამაზე ჩარიცხვისას სტუდენტს აქვს პირადი ელფოსტა და პაროლი. „არგუსი" მუშაობს ორ რეჟიმში: „არჩევის რეჟიმი" სტუდენტებს აძლევს საშუალებას, თავად აირჩიონ სასურველი სასწავლო კურსები. „სასწავლო (საინფორმაციო) რეჟიმი" კი სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია სემესტრის განმავლობაში მიმდინარე სალექციო კურსების ელექტრონული მასალების, შუალედური და საბოლოო შეფასებების, სწავლის პროცესში დაგროვილი კრედიტების, ფინანსური დავალიანებებისა და ა.შ. შესახებ. ასევე, სემესტრის ბოლოს მონაწილეობს ამა თუ იმ კურსის შეფასებაში, და რაც მთავარია სტუდენტი ამყარებს კომუნიკაციას აკადემიურ პერსონალთან. თვითშეფასების ანგარიშიდან, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებით ვლინდება, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას კვლევით საქმიანობაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში, აწვდის მათ ინფორმაციას მიმდინარე გაცვლითი პროგრამებისა და კონფერენციების შესახებ და სთავაზობს აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიური პერსონალის მუშაობის გრაფიკი ითვალისწინებს სტუდენტებთან წინასწარ შეთანხმებულ ინდივიდუალურ მუშაობასა და კომუნიკაციას „არგუსის", ტელეფონისა და ელ. ფოსტის გამოყენებით. დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობის და კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალიზაციაზე და მის პრიორიტეტს წარმოადგენს ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი სპეციალისტის მომზადება. უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის (როგორც ფსიქოტრავმატოლოგიის, ისე სოციალური ფსიქიატრიის მიმართულებით) საკითხებზე მომუშავე ცენტრებთან, რომლებიც ამ პროგრამის კურსდამთავრებულების უშუალო დამსაქმებლები არიან, გამომდინარე ამ მიმართულებით სპეციალისტების დეფიციტისა და საჭიროებისა. ასევე აღსანიშნავია, რომ დაწესებულება სისტემატურად, ყოველდღიურად აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ ვაკანსიებთან დაკავშირებით მეილით unijobs@iliauni.edu.ge. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი, რომლის მთავარი მიზანია სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებაში დაკვალიანება და მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა, ასევე, ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა. დეპარტამენტის ფუნქცია-მოვალეობებში, ასევე, შედის სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობა ისეთი ღონისძიებების მეშვეობით, როგორიცაა დასაქმების ფორუმების ორგანიზება, ვაკანსიებზე ინფორმაციის მიწოდება და ა. შ.

ადმინისტრაციული ერთეულების პარალელურად, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ატარებს კონსულტაციებს სტუდენტებთან, რაც გაწერილია აკადემიური პერსონალის კონტრაქტებში.

გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2015 წლიდან ახორციელებს გაცვლით პროგრამებს „Erasmus+"-ის ფარგლებში. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის სტუდენტებს აქვთ საშუალება, მიიღონ მონაწილეობა ინდივიდუალურ მობილობებში პარტნიორ უნივერსიტეტებში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2019 წლის მარტში ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრის ბაზაზე გახსნა სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, რომელიც ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებს უფასო დახმარებას სთავაზობს მიმდინარე პირადი და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული პრობლემის არსებობის შემთხვევაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები;
- პრაქტიკის დოკუმენტი;
- უსდ-ის ვებგვერდი http://iliauni.edu.ge/ge/;
- შრომითი ხელშეკრულებები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან;
- აკადემიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით სტუდენტი შეზღუდული არ არის და მას შეუძლია მისთვის საინტერესო საკვლევი თემა აირჩიოს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი თავად ირჩევს ნაშრომის ხელმძღვანელს. პროგრამაში გათვალისწინებულია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა, რაც ასახულია აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. აკადემიური პერსონალი მაგისტრანტებთან ინდივიდუალურად მუშაობს როგორც ცალკეული საგნების შესწავლისას, ისე — სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკა (საკონსულტაციო საათები არ უნდა იყოს სემესტრში 15 საათზე ნაკლები, კვირაში მინიმუმ 4 საათი)

და კომუნიკაციის ფორმა საჭიროებიდან გამომდინარე არის სხვადასხვა (პირადი შეხვედრები, „არგუსი“ ელფოსტა, სატელეფონო კავშირი); მაგისტრატურის თითოეულ სტუდენტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელიც, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი გამოცდილება, რაც დასტურდება თითოეული ლექტორის პირადი საქმით. სამაგისტრო პროგრამისა და ნაშრომის დოკუმენტის მიხედვით, რომელშიც გაწერილია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის წესები და პროცედურები, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულების პროფესორი ან მოწვეული პირი, რომლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეესაბამება სტუდენტის/სტუდენტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო ნაშრომისთვის შერჩეული საკვლევი საკითხის თემატიკას. ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ხელმძღვანელი ვალდებულია: (ა) რეგულარული კონსულტაციები გაუწიოს მაგისტრანტებს; (ბ) გაუწიოს სტუდენტს კონსულტირება კვლევის დიზაინში, პროექტის მენეჯმენტსა და სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში. ასევე, ეხმარება მას სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში; (გ) მიაწოდოს სტუდენტს უკუკავშირი კვლევის პროგრესის ანგარიშებთან და ნაშრომის სამუშაო ვერსიებთან დაკავშირებით და (დ) წარმოადგინოს ნაშრომის შესახებ დასკვნა და შეფასება (ხელმძღვანელის შეფასების ფორმაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრება; ▪ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია; ▪ დაცული სამაგისტრო ნაშრომების გაცნობა; ▪ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კვლევები; ▪ თვითშეფასების ანგარიში; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ▪ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების დოკუმენტი; ▪ პროგრამის ხელმძღვანელთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, განმახორციელებლ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, რომელიც შედგება უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და მოწვეული სპეციალისტებისგან. აკადემიური პერსონალი ფლობს შესაბამის სამეცნიერო ხარისხსა და აქვს პრაქტიკული მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც დაფუძნებულია უახლეს მეთოდოლოგიებზე. აკადემიურ პერსონალს გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები, ნაშრომები, სახელმძღვანელოები, რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და პუბლიკაციებით.

სტუდენტთა და მასწავლებელთა თანაფარდობა დარეგულირებულია უნივერსიტეტის შინაგანაწესით და აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების ოდენობასთან მიმართებით, ხოლო მოწვეულ და აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობაა 7/10, რაც ნამდვილად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

უფრო კონკრეტულად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 17 ადამიანი (აკადემიური და მოწვეული პერსონალი), მათ შორის 7 აკადემიური (3 პროფესორი, 2 ასოცირებული

და 2 ასისტენტ პროფესორი და შვიდივე აფილირებულია უსდ-სთან) და 10 მოწვეული პერსონალი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური (აფილირებული) და მოწვეული პერსონალი თანაბრად არიან გადანაწილებულნი ორივე მოდულზე, რაც თითოეული მათგანის მდგრადობის კარგ წინაპირობას წარმოადგენს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები არიან უნივერსიტეტის დოქტორები, თუმცა სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი ზოგ შემთხვევაში შეიძლება იყოს მოწვეული ლექტორი. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებისთვის სტუდენტთა რაოდენობა დაბალანსებულია ორგანიზაციის შინაგანაწესით და არ აღემატება წესით განსაზღვრულ რაოდენობას (5 მაგისტრანტი ერთ სამეცნიერო ხელმძღვანელზე). პროგრამას ხელმძღვანელობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ნინო მახაშვილი, პროფესიით ფსიქიატრი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტი როგორც ადგილობრივ, ისე ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე, როგორიცაა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაცია და ევროპის საბჭო. პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს პროგრამის შემუშავების პროცესს. პროგრამის განხორციელების შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებით, ის ასევე ჩართულია პროგრამის განხორციელების შეფასებაში. პროგრამის განხორციელების შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების საშუალებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით იგი პროგრამის განმახორციელებლ ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს პროგრამის შიდა თვითშეფასების ანგარიშს და განსაზღვრავს პროგრამის განვითარების შესაძლებლობებს. პროგრამას ჰყავს ადმინისტრაციული გუნდი შემდეგი შემადგენლობით: დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელი, პრაქტიკის კოორდინატორი, სტუდენტების საქმის კოორდინატორი, საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორი, რეგისტრაციის ოფისის ხელმძღვანელი. ადმინისტრაციული გუნდი უზრუნველყოფს პროგრამის გამართულ აკადემიურ და ტექნიკურ მუშაობას. პროგრამის პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი პირადი საქმეებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პერსონალის პირადი საქმეები; • გაფორმებული ხელშეკრულებები; • საგანმანათლებლო პროგრამა; • უსდ-ის მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები (კონკურსის ჩატარების წესი, პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმის და მეთოდოლოგია); • ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და თვითშეფასების ჯგუფთან; • ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში ფუნქციონირებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. კერძოდ, აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, ხოლო მოწვეული პერსონალის შემთხვევაში — სწავლების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოყენებულია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მათი წახალისებისა და დაწინაურებისთვის.

უნივერსიტეტში არსებული პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები ითვალისწინებს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. კერძოდ, გათვალისწინებულია სისტემურად, რეგულარულად და ეფექტურად, თანამშრომელთა საჭიროებების შესაბამისად მოქმედი ტრენინგის სისტემის და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის ყველა ტიპის პერსონალისათვის. ამ მიზნებისთვის უნივერსიტეტში შეიქმნა მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას. აღნიშნული ცენტრი დაარსდა ERASMUS + პროექტის PRINTeL მხარდაჭერით.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახური, რომლის ფუნქციებში შედის პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად სწავლებაში ჩართული პერსონალის დაკვირვება სასწავლო პროცესის განმავლობაში, მათი შეფასება, უკუკავშირის მიწოდება და საჭიროების შემთხვევაში, მათი ჩართვა ზემოთაღნიშნულ ტრენინგ-მოდულებში. ამასთან, იგეგმება აღნიშნული სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობა ადამიანური რესურსების სამსახურთან და მასწავლებლის განვითარების ცენტრთან შემდგომი ტრენინგ საჭიროებების განსაზღვრისა და შესაბამისი სერვისების უზრუნველყოფის კუთხით.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მკვლევრების კვლევით საქმიანობას მხარდაჭერას უწევენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები, სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები. სამსახურები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. სამსახურების საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით.

სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური შეიმუშავებს და გეგმავს სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე მიმართულ უნივერსიტეტის შიდა საქმიანობებს. აქვე უნდა აღინიშნოს,

რომ უსდ-ში 2017 წლიდან ფუნქციონირებს სამეცნიერო საბჭო, რომლის საქმიანობა შესაბამისი დებულებით რეგულირდება და მიზანია უსდ-ში სამეცნიერო კვლევის მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესების რეგულირება. განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევისა და სწავლების მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას; კვლევასთან დაკავშირებული სერვისის გაუმჯობესების მიდგომები და პრინციპები ასახულია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში. უნივერსიტეტი ფინანსურად მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და დოქტორანტების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში და ამას აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი არეგულირებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; • პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; • სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის კონცეფცია; • პროგრამაში ჩართული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები; • გამოქვეყნებული შრომები; • პერსონალის მართვის სტრატეგია; • განვითარების სამსახურის დებულება; • კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი; • აკადემიური პერსონალის შეფასების წესი.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული ინფრასტრუქტურით და ტექნიკური აღჭურვილობით.

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა ინფორმაციული რესურსცენტრია, რომელიც მომხმარებლისთვის მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზების გზით მაქსიმალურად ხელმისაწვდომსა და ადვილად გამოყენებადს ხდის საინფორმაციო რესურსებს და ამგვარად ხელს უწყობს აკადემიური პროცესების ხარისხის ამაღლებას, თანამედროვე მიდგომებით სწავლების განხორციელებასა და ახალი ცოდნის გენერირებას.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს მომხმარებელს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, ინტერნეტით და მოიცავს სამკითხველო დარბაზებს, ჯგუფური მუშაობის სივრცეებს, მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ კუთხეებს, კომპიუტერული რესურსცენტრებს, შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახსა და წიგნსაცავებს.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა, თუ სხვა ტიპის სივრცეებში.

ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკა მომხმარებელს სთავაზობს მუდმივად განახლებად წიგნად ფონდს. აღნიშნული ფონდი საშუალებას იძლევა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი იყოს ამა თუ იმ დარგში მიმდინარე განვითარების უახლესი ტენდენციები, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე განხორციელებას. ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად თავსდება ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში, რათა მომხმარებელი ინფორმირებული იყოს ახალი რესურსის ხელმისაწვდომობის შესახებ.

ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს საკითხავი მასალის, ე. წ. „რიდერის“ დამზადებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. ნაბეჭდი რიდერი ხელმისავდომია სამკითხველო დარბაზებში, ხოლო ელექტრონული შესაბამის პორტალზე, რომელზეც წვდომა მხოლოდ საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა შესაძლებელი (როგორც უნივერსიტეტიდან, ისე მის გარეთ ნებისმიერი ადგილიდან). რიდერი მზადდება პროფესორის, ან კურსის ხელმძღვანელის მომართვის საფუძვლეზე, საავტორო უფლებების სრული დაცვით. აღნიშნული რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად და განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ საძიებო კატალოგში.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა მუდმივად ზრუნავს საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე (Clarivate Analitics ყოფილი Thomson Reuters Web of Science), Scopus, Ulrich’s Index, ERIH PLUS, EBSCOHost, Latindex Catalogue და ა. შ.) ხელმისაწვდომობის განვითარებაზე. შესაბამისად, ბიბლიოთეკა, ამ კუთხით მუდმივად სთავაზობს მომხმარებელს სიახლეებს და ფლობს მდიდარ ელექტრონულ ბიბლიოთეკას. ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ცალკეული ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები.

წარმოდგენილ პროგრამაში გამოყენებულია სწავლების ელექტრონული პორტალი “moodle” და პლაგიატის გადასამოწმებელი პროგრამა TURNITIN.

ინტერაქციის მნიშვნელოვან ფორმას ასევე წარმოადგენს ელექტრონული ფოსტისა და არჩევანის უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემის „არგუსის“ გამოყენება. მათი საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ სიახლეების შესახებ ინფორმაციას და

აქვთ საშუალება დისტანციურად იქონიონ უკუკავშირი ბიბლიოთეკასთან და პირიქით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს აქვს პირადი სამუშაო სივრცეები, რომლებიც გამოყენებული იქნება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.

ლექცია-სემინარებისთვის გამოყოფილია აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო ყველა აუცილებელი რესურსით, როგორიცაა კომპიუტერი, მონიტორი, თეთრი დაფა, მარკერები და სხვ. პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოებისთვის სასწავლო რესურსად, სკოლებთან ერთად, გათვალისწინებულია ასევე ბავშვის განვითარების ინსტიტუტი.

წარმოდგენილი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტში, ასევე, ფუნქციონირებს ფსიქიკური ჯანმრთელობის რესურს ცენტრი, რომელიც 2011 წელს დაფუძნდა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მისი დამფუძნებლები არიან ილიას უნივერსიტეტი და ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“. ცენტრში რეგულარულად ტარდება ტრენინგები, ვორქშოფები და სემინარები ქართველი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით. აღნიშნული ცენტრი ხელს უწყობს წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებას 2012 წლიდან როგორც პროფესიული შეხვედრებისა და ტრენინგის, ისე საბიბლიოთეკო რესურსების ხელმისაწვდომობით.

პრაქტიკის წარმატებით განხორციელებისთვის უნივერსიტეტი თანამშრომლობს პრაქტიკის ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით განსაზღვრული პირობებით. ზემოთაღნიშნული დაწესებულებები პრაქტიკისა და კვლევის განხორციელების მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. ორგანიზაციები შერჩევის პრინციპი გამჭვირვალეა: ისინი ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებს უნდა აწვდიდნენ მომხმარებლებს და სურდეთ და შეეძლოთ სტუდენტების პრაქტიკის უზრუნველყოფა. ფაქრობრივად, მემორანდუმით გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობაში ჩართული ორგანიზაციები უკვე წლების განმავლობაში წარმატებით თანამშრომლობენ წარმოდგენილ პროგრამასთან, რაც ასევე, პროგრამის მდგრადობისა და განხორციელების მაღალი ხარისხისთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგნეენ.

გარდა ამისა, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა წლების განმავლობაში მჭიდროდ თანამშრომლობს ისეთ პროფესიულ ორგანიზაციებთან, როგორიცაა ფონდი „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში“, საქართველოს ფსიქოტრავმატოლოგიის საზოგადოება, საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოება, „ალიანსი უკეთესი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის“ და სხვ.. ეს ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩაბმულნი ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს რეფორმირების პროცესში და პროგრამის ორივე მიმართულებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. აქვე უნდა აღინიშნოს უცხოური უნივერსიტეტებისა და მათი პროფესორების ნაყოფიერი თანამშრომლობა წარმოდგენილ პროგრამასთან და მის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, რაც სტუდენტების მიმდინარე კვლევებსა და პროფესიულ საქმიანობაში ჩართვის საშუალებას აძლევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ ბიბლიოთეკართან და ონლაინ სისტემის დემონსტრაცია;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge/;
- ელექტრონული სწავლების პორტალი: http://moodle.iliauni.edu.ge/, Turnitin
- ტექნიკური აღჭურვილობის შეფარდება სტუდენტების რაოდენობასთან;

- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები;
- სერვისების კვლევის შედეგები;
- ბაზების გამოყენების სტატისტიკური მონაცემები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

რეკომენდაციები: --

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტში გამოყოფილია შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური რესურსი: სალექციო და საპრეზენტაციო სივრცეები, ბიბლიოთეკასთან და ელექტრონულ ბაზებთან წვდომა. სტუდენტთა პრაქტიკის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ჩართული ორგანიზაციებს შორის გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში ორგანიზაციებთან თანამშრომლობა გულისხმობს უნივერსიტეტის მხრიდან ფინანსურ ვალდებულებებს.

პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის მხარდაჭერის მიზნით პროგრამის სტუდენტებს ემსახურებათ ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი, რომელიც თანამშრომლობს სხვადასხვა კვლევით ორგანიზაციასთან და მისი მისიაა ქვეყანაში ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და რეფორმების განხორციელებაშ მონაწილეობა, ასევე, პრობლემაზე საპასუხოდ მტკიცებულებაზე დაფუძნებული მიდგომებისა და მეთოდების დანერგვა-განვითარების ხელშეწყობა კვლევის, ბი- და მულტილატერალური თანამშრომლობის პროექტებისა და სპეციალისტების აღზრდაზე მიმართული მუშაობის გზით.

პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის საზომად აღებულია „ფსიქიკური ჯანმრთლობის“ სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნადობა, პროგრამისთვის გამოყოფილი კვოტა (ყოველწლიურად საშუალოდ 12 სტუდენტი), ბოლო 4 მიღების შემთხვევაში, სრულად იქნა ათვისებული. აღსანიშნავია ასევე, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სამაგისტრო პროგრამების განხორციელებისათვის ძირითადი პერსონალის და ინფრასტრუქტურული ხარჯები მკვეთრად არ იზრდება, რაც პროგრამის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • ფაკულტეტის ბიუჯეტი; • პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუები უსდ-ის ადმინისტრაციასთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ ხორციელდება შიდა ხარისხის შეფასების მექანიზმების გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და იყენებს ამ სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვებს და შედეგების ანალიზს აწვდის პროგრამაზე მომუშავე პერსონალს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემა, რომელიც დაფუძნებულია მუდმივი გაუმჯობესების ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA). ციკლის ყველა ეტაპზე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მათი თანამშრომლობით ხდება მიღებული შედეგების ანალიზი და მზადდება პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებები მისი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით. კერძოდ, იგეგმება შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა და ვადები, განისაზღვრება ვინ მონაწილეობს შეფასების პროცესში და განისაზღვრება შეფასების კრიტერიუმები. მეორე ეტაპზე ხორციელდება დაგეგმილი შეფასება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებისა და გრაფიკის მიხედვით; მესამე ეტაპზე ფასდება თითოეული კომპონენტის /მექანიზმის მუშაობის ხარისხი, ანალიზი უკეთდება ხარვეზების/ნაკლოვანებების გამომწვევ მიზეზებს და მეოთხე ეტაპზე ერთობლივად შემუშავდება მათი აღმოფხვრის მექანიზმები. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუების დროს დადასტურდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის და შეფასების აღნიშნული მექანიზმის არსებობა.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების სისტემა რამდენიმე ასპექტს მოიცავს, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო პროცესის შეფასებას, ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას. უნივერსიტეტში შემუშავებულია და გამოიყენება რამდენიმე სახის (სასწავლო კურსის შეფასების, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების, პოტენციურ დამსაქმებელთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების) კითხვარი კმაყოფილების კვლევების ჩასატარებლად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კოორდინაციას უწევს SWOT-ანალიზის განხორციელებას, როგორც საუნივერსიტეტო, ისე — პროგრამულ დონეზე. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით სამსახური შეიმუშავებს სამოქმედო გეგმასა და რეკომენდაციებს ნაკლოვანი მხარეების გაუმჯობესების, პროგრამების განვითარების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის დებულების“ შესაბამისად, სადაც დეტალურად არის გაწერილი მისი საქმიანობის ასპექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- სტუდენტების მიერ მომზადებული შიდა შეფასების ანგარიშები;
- პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები.
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული კვლევის ანგარიშები.

რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამა „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ თავდაპირველად აკრედიტირებულ იქნა 2012 წელს. საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს, რომელიც ეფუძნება ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებასა“ და ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სამაგისტრო პროგრამის განახლებული კურიკულუმი წარედგინა შეფასებისთვის ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგში მოწინავე საერთაშორისო დონის ორ საერთაშორისო ექსპერტს, რომლებიც შეირჩნენ მათი კვლევითი და სწავლების ინტერესების მიხედვით: (1) პროფ. სერ გრეჰემ თორნიქროფტი, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგის მოწყობის მსოფლიოში აღიარებული „ბალანსირებული მოდელის“ ერთ-ერთი ავტორია და (2) პროფ. ჯონათან ბისონი, რომელიც ფსიქოტრავმატოლოგიის დარგის ერთ-ერთი წამყვანი მკვლევარია. ორივე ექსპერტის მოსაზრებით, პროგრამა კარგია, თუმცა მათ რამდენიმე რეკომენდაცია ჰქონდათ პროგრამის მიმართ, რომლებიც გათვალისწინებული იქნა პროგრამის წარმოდგენილ, განახლებულ ვერსიაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პროფესორი წლების მანძილზე, მჭიდროდ თანამშრომლობს პროგრამასთან სალექციო კურსების, ვორქშოფების და კვლევის კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის დადგენილება; • გარე შეფასების შედეგები.
რეკომენდაციები: --
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: --
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): --
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში): --
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამის „ფსიქიკური ჯანმრთელობა“ მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ზოგადი წესის შესაბამისად: შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სისტემურ კვლევებს/ შეფასებებს. აღნიშნული კვლევების/შეფასების მიზანია, დაადგინოს სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილება საუნივერსიტეტო სერვისებისადმი, სტუდენტების დამოკიდებულება სწავლების პროცესთან და საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის რეალური შესაძლებლობანი და ა.შ.

სისტემური კვლევები ხორციელდება რეგულარულად დროის ჩარჩოს მიხედვით და მასში ჩართულნი არიან როგორც სტუდენტები, ასევე ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი. მაგალითად, სტუდენტების შემთხვევაში, წელიწადში ორჯერ პროგრამით კმაყოფილების კვლევა და კურსების/კომპონენტების შეფასება ხორციელდება ელექტრონული სისტემა „არგუსის“ გამოყენებით, რომელიც შემდგომ უზრუნველყოფს რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შეგროვებას.

გარდა სისტემური კვლევებისა, უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს კონკრეტული პრობლემების გადაჭრის მიზნით მიზნობრივ კვლევებს.

პროგრამის შეფასების პროცესში ასევე ჩართულნი არიან დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

პროგრამა ითვალისწინებს განახლებას ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ზემოაღნიშნული შეფასებების შედეგების პროგრამის გაუმჯობესებისათვის გამოყენების ნათელი მაგალითია, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა საჭიროების შესაბამისად, სტუდენტებისათვის მეტი პრაქტიკული კომპონენტის შეთავაზება და ზოგიერთი სასწავლო კურსის დამატებით შეთავაზება სტუდენტებისთვის.

2019 წლიდან შემუშავდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმა. მონიტორინგი და შეფასება გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები და მიღებული მონაცემების საფუძველზე პროგრამაში განისაზღვროს ამ კურსების,

თუ კომპონენტების აკადემიური მოსწრების სამიზნე ნიშნულები მომდევნო შეფასებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა "არგუსი"; • შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, მექანიზმები და ინსტრუმენტები; • კოლეგიური შეფასების და განვითარების კონცეფცია; • ხარისხის სამსახურის უფროსთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფსიქიკური ჯანმრთელობა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ლილი ხეჩუაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

დავით ზურაბაშვილი



ლანა ბოკუჩავა